

ԱՐԵՎԱԿԱՆ ՀԱՅՈՒԹՅՈՒՆ



უორნალ „ჯეჯილისა“

83.

I „აბა ეინ დასძლევება!“ სურათი პატრიციისა	3
II თამარ მეფის ლომი—გ. წესლიუბებისა	4
III მხატვრის ნამხობი (ქურაცველან) — ტასლი	6
IV ორი ბაყაის თაე-გადასაეალი. ზღაპარი. (ნათაგმნი) — მა- რიაშ დემურისა	10
V სულელი ჯეკი. (ინგლისური ზღაპარი) — გ. ჭაჭარებასი .	21
VI საუბარი ცხოველებზე პოლბერისა — ქორესი	24
VII ყრმებს ლექსი — დ. თომშვილისა	29
VIII პირველი აპრილი კომედია 1 მოქმედებათ თარგმანი — ს. ციციშვილისა	31
IX ეინ იყო სერგეი მესხი—ან. წერეთლისა	57
X ნიობე (ოვრდიუსილან) — ა. უშმისთავებისა	64
XI წერილმანი: ანდაზები, გამოცანები, არითმეტიკული ამო- ცანა, შარადა, რებუსი და სხვ	69

თანახმათ მათი ყოვლად უსამღვდელოესობის სა-
ქართველოს ეგზარქოსის დამტკიცებისა, თფილისის სა-
ეპარქიო რჩევამ, 17 ოქტომბერს, 1897 წ. გადა-
წყვიტა ქართული საყმაწვილო უურნალი „ჯეჯილი“
საქართველოს ეპარქიის სამრევლო სკოლებში მიღე-
ბულ იქმნას სახმარებლათ.



აზარდე, შეგანე პეფიდო,
დამყრდი, გახდი ყასა!...

ა. ღ.

№ XI

ქართველი მარტინის სიმღერები



ტფილისი

სტამბა ი. მ. რომინანცია, № 41 | თიპ. თ. მ. რომინია, იო. პრ. № 41
1903



Дозволено цензурою. Тифлисъ, 18-го Ноября 1903 г.



„ବୁଲାଦିଶ୍ଵର ଜଗନ୍ନାଥ“ (ବୁଲାଦିଶ୍ଵର ମାତ୍ରାନନ୍ଦ)



თამარ-მეფის ლომი.

იდ თამარ-მეფეს, თურმე, ერ
 თი დიდი ლომი ჸეავდა,
 რომელიც ისე ემორჩილე-
 ბოდა პატრიოს, როგორც
 ერთგული მაღლი. როცა
 თამარი ტახტზე დაბრძნდე-
 ბოდა, ლომი საფეხურთან
 დაუწევდოდა, თავს ფეხის
 ბალიშათ დაუდებდა და ისე
 იუო სულ-განაბუღი, მინამ დარბაზობა არ გათავდებოდა
 და მეფე არ ადგებოდა; მამინ-კი ლომიც წამოდგებოდა და
 თავის პატრიოს აედევნებოდა უკან.

ერთ დღეს არა ჩვეულებრივი მსადება იუო სასახლეში.
 ალექს სულთანმა, ნუქარდინმა, შეაგროვა რვა ასი ათასი
 ჯარი და გამოილაშერა საქართველოზე. მაგრამ წინდაწინ
 დესპანი გამოუგზავნა თამარ-მეფეს და ნებით დამორჩილე-

ბას ითხოვდა. აი ეს დესპანი უნდა მიეღოთ სასახლეში და
მისი სიტუაცია მოესმინათ.

‘როცა უკელაყერი მსათ იქთ. შემოვიდა ზაქართველოს
ბორიცვალე შეე თამარი დარბაზში და დაბრძანდა ოქონს
ტაძრზე; ლომიც ფეხებთან დაუწვა და ფეხ-ქვეშ დაუდგა თა-
ვი. კეზირებმა და დიდებულებმა დაიჭირეს თავ-თავისი ად-
გილი. დანიმნულ დროს შემოიუვანეს ნუქარდინის დესპანი. ამან
თავებანი სცა მეფეს; და თავისი კადნიერი მოხსენება ასე
დააბოლოვა:

— უკეთუ მეფემან თქვენმან დაუტეოს რჯული თვისი,
სულთანმა შეირთოს იგი ცოლათ და უკეთუ არა დაუტეოს
რჯული, იყოს ხარჯათ სულთანისა.

ასეთმა კადნიერმა სიტევებმა მალიან ააღელვეს თამარის
სახელოვანი სპასალარი ზაქარია მსარგელი, რომ წამო-
ვარდა და ისეთი სილა გააწნა კადნიერ მოციქულს, რომ
იგი ჰირქვე დაუცა. ამ დროს, თითქო ლომბაც იგრძნო
თავისი პატრონის შეურაცხუოვაო, ერთი საძინლათ დაიღ-
რინა, წამოვარდა და ეცა წაქცეულ დესპანს. უმჭველია და-
გლუჯდა კიდეც, თუ თამარი არ გაჯავრებოდა და არ გაუ-
ჩერებინა გააფთრებული ლომი!

გ. წყალტუბელი.



მხატვრის ნაამგობი.



ეო ერთი შხატვარი, რომელსაც უკუნდა პირუტე-
ვების დახატვა, ძეტადრე კატებისა. როდესაც ერთ-
ხელ ჰქითხეს: «რას ჩააცილდი კატებს, რომ სულ
მაგათ ხატავო» აი, რა მოგვითხრო:

„ოქენ ხომ გინახავთ ჩემი საუკარელი ციცა? ამ რამ-
დენიმე წლის წინეთ ის მე მომგვარეს სულ პატაწენა, უგუ-
ნური, ის იუო ახლათ თვალები აეხილა. დაბინავდა თუ არა
ციცა ჩემ სახლში, მეორე დღეს კე მომითრია ცოცხალ-ძველა-
რი თაგვი; გამწარებული მსხვერპლი ისე მიგარდნოდა ცხვირ-
ში, რომ კატას სისხლი გადმოხეთქოდა.

მე მალიან მომეწონა ციცას მამაცობა და იმ დღიდან
შევიუვარე ეს კატა. ცოტ-ცოტა მალ-ლონე მოქმატა ციცას
და თაგვების დაჭერაშიაც დახელოვნდა. უოგელთვის მოჯკლაძ-
და თუ არა თაგვს, ამოიტანდა ჩემთან ზემოთ და რო-
გორც დავლას ფეხებთან დამიწუობდა.

ციცა ზოგჯერ დიდხანობით იჯდა ჩემ საწერ მაგიდაზე

და თვალს მადევნებდა, თუ როგორაც ვწერდი და ან როგორ ვსატავდი. მაგრამ თუ შემამნევდა რომ მისი დახატვა მწარდია, მაძინვე გადმოვარდებოდა მაგიდიდან.

მე დავუწე ცოტი ცოტა წრთვნა ეს იმას მალიან მოსწონდა და ართობდა კიდევ. სან-და-სან მოიტაცებდა სამხარეულოდან, მაგალითათ კურდღელის ფეხს, მოიტანდა და ჩემ ფეხებთან დასდებდა, თითონ-კი კარებს მოუფარებოდა

და ოქიდან მათვალიარებდა.

მე გითომ გაჯავრებული წა-
მოუვარდებოდი, ის გაიტკე-
ვოდა, მე უკან გამოვუდგებო-
დი, ასე დავობოდით მთელ
სახლში და ისეთ აუალმა-
ჟალს ავტეხდით, რომ უკე-
ლა გაჭვირვებული შემოგვც-
ქუროდა.



ამ ხუმრობაში არ ვი-
ვიწევებდი საქმესაც - ვათვა-
ლიერებდი კატას და ვცდილობდი მის დახატვას. მე თვითონ
სმირბთ ჩოქვით დავდიოდი იატაქზე და ცოცვით ავდიოდი
კიბეზე, ციცას ეს მალიამ მოსწონდა და სისარულით სან
რა ი. მაში მოიგონებდა და სან რას. მე-კი უკელა მის მო-
მრაობას ვაჭვირდებოდი.

საჭვირველი იუთ, რომ ციცას თვალის დასანახათ



ეჯავრებოდა კარანდაში და ალბომი, თითქოს მიხვდებოდა, რომ მინდა დავსატოო და მაძინ კე აიფხორებოდა, გაიქცეოდა ბუხართან და ოქ ხალიჩაზე მოიკუნტებოდა. მე მხოლოთ ერთხელ მოვასერხე მისი დასატეა, როდესაც ის ზურგ-შექცეული იწვა.

ციცას ცელქობა და სტუნაობა მე უოველთვის მაღიან მართობდა.

კატა ისე შეძეჩვია, იმან ისე შემიუვარა, რომ საღმე წავიდოდი კიბეზე დაჯდებოდა და მელოდა. ის არჩევდა ჩემ ფეხის სმის და როდესაც გაიგებდა, რომ ვბრუნდები შინ გამომეგებებოდა. მხოლოთ ერთი რამ კერ იქნა, კერ შევაჩვიე, წენარათ მკლარიუო რომ დამესატა. თითქოს დამცირებათ მიაჩნდა, რომ თავი დასახატათ მიეცა და რაც მაქვს მისი ნახატი სულ ჰეპირათ არის გადაღებული.

ციცას ცელქობა სოგჯერ უცნაური იუო. ამომიხტებოდა კალთაში, დასკუპდებოდა უკანა ფეხებზე, აიწევდა ორი-კე თათებს მაღლა და როდესაც ვეტეოდი: აბა, თქვი ლექ-სი! დაიძახებდა მიაუს სხვა-და-სხვა სმაზე. სადილის დროს ის იჯდა თავის საქუთარ სკამზე და მოთმინებით ელოდა, როცა ჩვენ გავათავებდით სადილის ჭამას. მერე სამჯერ მიაუს დაიძახებდა, ამითი მოგვავონებდა თავს, რომ ახლა მისი ჭამის დროა.


ჩემი კატა მაღიან ცნობის-მოუვარე იუო, თუ ახალ რამეს ნახავდა - უურადღებოთ არ დაავდებდა. როდესაც ახალ

დასატულ სურათს ჩამოვყიდებდი კედელზე ციცა დასკუპდებოდა მის პირდაპირ და ერთი ისე შინჯავდა, თითკოს დიდი მუოდნე უოფილიერ. სან-და-სან გულ-აღმა დაწევებოდა, თათებს გულზე ჯვარედინათ დაიდებდა, თავს გვერდზე გადიგდებდა, კურს გაფშრევდა—ერთი სიტუაცით მოიძევდარებდა თავს და იწვა ხოლმე ასე, სანამ მე არ დავუვირებდი: წამოდეს!

ერთხელ მე დავსატე სურათი «კატების მოგზაურობა შობის წინა დამეს» ეს ჩემი ნახური უველას ძალიან მოეწონა და მას აქეთ ჩვეულებათ გამიხდა კატების დასატვა.

ტასო.

(ნათარგმნი)





ორი გაუაყის თავ-გადასავალი.

(ზღაპარი)



ერთ ჭაობში, მრავალ ბაჟაუებ შორის ცხოვრობდა ორი ბაჟაუი და მმა, ისინი უკელაზე მეტათ ჩხებობდენ და შუოთავდენ ჭაობში, ამიტომ იმათ მეტ-სახელათ ერქვათ: ჭიჭეინა და ბუსხუნა. ჭიჭეინა იუ გამხდარი, სუსტი აგებულობის ბაჟაუი — ჰაწაწეინა მოცუიმცუის თვალებიანი, ბუსხუნა-კი უფრო სრული და ჩასუქებული დიდონის თვალებით, მუდამ უკმაყოფილო გარინდული — თითქო ბურანშიაო. ჭიჭეინა წვრილის ხმით წრიპინებდა, ბუსხუნა-კი თავისთვის რაღაცას ცხვირში უიუინებდა.

ორიგე უკელაზრით და უკელათი უკმაყოფილო იუგენ. ჭიჭეინა საღამოობთ ჭაობის ბალახებზე დასკუპდებოდა და მოჰქვებოდა ჩივილს:

— აქ ცხოვრება უოვლათ შეუძლებელია, საძაგელი ჭაობია, ქინქლები ხომ სულ ცოტაა და რეც არის გამხმარი, უგემური! მე მუდამ მშერი ვრჩები! მშერი! თუ როდისმე

მსუბანი ღუკა შემსვდება — სასწრაფოთ პირიდან მცდელა. მენ. სწორე მოგახსენოთ, სიგანგებო საზოგადოება გვშევს რაღა! გაუმაძრარი, შერიანი და მაჩსუბარი.

— ეგ რათ გინდა, დაუმატებდა ხოლმე ბუსხუნა ბოხის სმით — დარიც რომ ხელს უწეობს აქაურ უწეს-რიგობას! ისე ცხელა, ისე, რომ სული გვეხუთება! ნეტავი როდისმე კვლირსებით წვდის? ჭაობები სულ მთლათ გამოიყიტა — გამრა და გამსმარი წუმბოს ტალახ-გოროხი კანს ისე გვჩვლე-ტამს, თითქო დორის ჯაგარიბო! სწორეთ აქ ცხოვ-რება არ შეიძლება, საძაგელი ჭაობია! იჩივლებდენ, იწუწუ-ნებდენ და შეძლებ ერთათ წამოუუნტებოდენ და გაბუშევლი გარშემო იუურებოდენ.

სხვა ბაჟაუებმა სუადეს გამოლაპარაკება ჭიჭინასთან, მაგრამ შეუძლებელი შეიქნა. თუ ვინმე აქებდა ცაზე მოსრიდ-ლე შავ საწვიმარ ღრუბელს, რომელსაც სიგრილე თან მოსდევდა; ჩხავანა არც-კი შეხედავდა, ვითომც არ ამჩნევსო.

— ერთი თუ ღმერთი გწამო თავი დამანებეთ! განა აქ კარგი რამ შეიძლება იუოს? აბა, ეც რა ღრუბელია, ან რა სიგრილეა? მე-კი სიცხისაგან სული მეხუთებაო, — იტურდა ჭიჭინა და მაშინვე წეალში ჩაიუურტუმალებოდა.

ბუსხუნასაც სმირათ პატიუობდენ, რომ საღამოობით იმათთან გაეტარებინა დოო. ერთათ ჭაობის ბალახებში ეუი-უინათ და შეძლებ ერთათ ებანათ თბილ ხავსიან წეალში, საიდანაც სასიამოვნო დამალი ხავსია და ბალახის სუნი



მოდიოდა. მაგრამ ბუსტუნა ჰასუხის მაგივრათ თავის აქცე-
ლებულ სქელ ზურგს შეაქცევდა ამხანაგების, ცოტა ხანს
სდუძდა და ძემდეგ ცხვირში უიუის მოჰქვებოდა:

— აბა, რას ამბობთ თუ დმერთი გწამთ, ჭაობის რბილ
ბალახს-კი არა, — ნაძვილ წვეტიან ქედსა ჭკავსო — მთელი
ტანი მტკივა, ისე მაქვს დაჩხვლუტილი ამ ჭაობისაგან! აქ
წეალიც ძეტათ უგემურია! უიუინით-კი, ერთი მითხარით
რაზე ეიუიუინოთ, რაზედა? საშინელი მოწევნილობაა. ეს ჭა-
ობი-კი არ არის, სწორეთ ტალახის მწუბოა!

მეგობრებს მოსწევინდათ უთავბოლო ჩივილი და უიუი-
ნი და-მმისა, თავი დახნებეს იმათ და მხიარულათ გაჭქონდათ
სტუნვა და უიუინი.

რასაკვირველია, და-მმას არ მოეწონათ ამხანაგების ამ
გვარი თავნედობა; ჭიჭიინამ მოისურვა უიუინი, მაგრამ ბა-
უაუების სბაურობა უძლიდა ხელს:

— ოხ, რა ბრიუვები, რა საშინელი უზრდელნი არიან! საზიზდარი ბაქაუებია ამ უოვლად საძაგელ ჭაომში! მუდამ
ქლივიან და ჭიჭიინობენ! ერთ წამს მოსვენება არ არის,
იქნება სწორეთ ახლა მსურს რამე საქმეზე მოუიუინება ჩემ
მმასთან, მაგრამ განა შესაძლებელია?

ბაუაუებმა რომ გაიგონეს ჭიჭიინას გაჯავოებული უიუი-
ნი, გადასწევიტეს უფრო შორს წასვლა — მაღალ კორდზე
იარვეს სველი ალაგი და ოქ ეველანი მშვენივრათ მოეწევენ



გრილ ჭავერმი უთვალავი ქინქლები, კოლოები და ბუზები მრავალი იუო. საუბუები წეალში შეიძლებათ ჭუპალობდენ; ერთი-მეორეზე ჩახტებ-ამოხტებოდენ, სხვა და სხვა თამაშობეს იკონებდენ.

ბუსხუნა-კი მოსჯდომოდა თავის დას და ეუიუინებოდა:

— ქვევნასე ჩვენ ჭალბსე უარესი აღარსად აღარაფერი იქნება! ხედამ, ჭიჭინა! ეკელანი წავიდენ, ჩვენ-კი აქ მარტოთ მარტო დაგვტოვეს ამ სამინულ სიცხეში და გამოფუტულ ჭავერმი. დარწმუნდი, თითონ საუკეთესო ალაგი აირჩიეს! მე კარგათ ვიცი იქ მრავალი გემრიელი კოლო და ქინქლა ირევა! კარგა ხანს სიჩუმის შემდეგ ჭიჭინამ უთხრა:

— მოდი, მმაო, აქედან წავადეთ, საკა იქნება კემებოთ, საუკეთესო ჭაობა!

ბუსხუნა სასწრაფოთ გამოცოცხლდა.

— მალიან კარგი! ნუ თუ ვერ ვიწოვით ისეთ ჭაობს, რომ მუდამ სველი და გრილი იუოს?

— თანაც ბევრი ლელით შემჭული! დაუმატა ჭიჭინამ — კიდევ იმასაც ვეცადოთ, რომ კარგი სამეგობრო ბაუბუები



იუვენ და არა იმისთანა საძაგელი, როგორც აქ არიან.

საღამოზე იმათ ეწერათ ბაჟაუი ხტუნია, მუდამ შეიარული და მშვენიერი ჭრელ-ზურგიანი, იმან შორიდანვე დაუკირა:

— ახლა ხომ კარგ გუნებაზედა ხართ? და ჭიჭინას წინ წუმშობი ჩახტა და ხავსიანი წელის წინწელები თვალებში შეუშეაბუნა. — მაშ სრულებით მოსვენებული ხართ, რაც ჩვენ გაგმორდით? შეიარულათ იმეორებდა ხტუნია და თავის ჰატარი მოძრავი ტანით ხტუნავდა ხან დასთან და ხან მმასთან.

ჭიჭინა ისე იუო გაჯავრებული, რომ უნდოდა სულაც არ დალაპარაკებოდა, ბოლოს-კი ვერ მოითმინა, რომ თავისი აზრი არ შეეტეობინებინა და თვალების კრუტვით, ამაგათ ქლივს აძოინავა.

— ჩვენ აქედან მივდივართ!

— დიახ! უსათუოთ წავალთ აქედან, გაიმეორა ბუსტუნამაც.

— რაო! რაო! მიდისართ ჩვენი მშვენიერი სველი ჭაობიდან? ნუ თუ არ გენანებათ აქაურობა? გაკვირვებით დაიუიუინა ცულქმა ხტუნიამ. ჭიჭინამ ამაჟათ შეხედა იმას და გაბრაზებით დაიწრიპინა.

— გენანებათო, აბა, მითხარი რა უნდა დაგვნანდეს. აქ ცხოვრება მეტათ მოსაწუენია, საძაგელი ადგილია, ნაღვჭლი-საგან მთლათ ჩამოვხმი, აბა, შემომხედე და ჭიჭინამ გვერ-

დი მიიბრუნა სტუნიასაკენ, რომ დაქნახებინა თავისი გამხ-
დარი გვერდები.

— ადარ იშლით რადა, უხათუოთ მიდისართ, უიუინებ-
და სტუნია, და სიბრალულით შესცეროდა ჭიჭინას გაფიც-
რულ მუცელს! დქერთმა სელი მოგიმართოთ, წადით, ეძიეთ
უკეთესი ალაგი. — მე-კი აქაურობისა დიდი კმაყოფილი
ვარ!

მეორე დღეს დილა ადრიანათ, ჭაობ ზემოთ გამოურკ-
ვიშველი ნისლი იდგა, ბალახიც ცვრით მორწეული იქთ ამ
დროს ჭიჭინა და ბუსხუნა გზას ისე გაუდგენ, რომ არა-
ვის გამოსალმებიან.

სტუნვა-სტუნვით ჩვენი და-მმა კარგათ გაშორდენ თა-
ვიანთ ჭაობს; სადამომ რომ მოატანა ერთ ალაგს პატარა
წუმბო იპოვეს: რამდენიმე წვეთი ჩაჭელაბეს, სული მოითქ-
ვეს და ბალახებში ჩაიმალენ მოსასვენებლათ.

მეორე დღეს გამოიღვიძეს თუ არა, დაიწეუს აქეთ-იქით
ცქერა, ეგებ ვინმე დავინახოთ და გზა გამოვყითხოთო. წუმ-
ბოში ბაჟაუები არ იუვენ. ამ დროს იმათ ახლო გაირბინა
მინდვრის თავვმა.

— მოიცა, მოიცა, თავვო! დაუუიინა ჭიჭინამ. აქ
სადმე ახლო სომ არ იცი დიდი, სველი ჭაობი, ბევრი ლე-
ლით შემკული, გემრიელი კოლოებით სავსე?

— აკრეთვე მუდამ თბილი, უუშუნა წვიმა ასხამდეს და-
უმატა ბუსხუნამ.

— არა! არ ვიცი! მე ჭირივითა მმაგს ჭაობი, და თუ ერთი ბეწვა დამისუელდა ჩემი ნაცრისფერი ქურქი, მაძინ-კე შექცე მივრბივარ! უფრო ხშირათ-კი მინდვრათა ვცხოვ-რობ, სადაც მაღალი თავთავი სარობს, ჰურის მარცველით გატენილი; თავის დღემი ჭაობებში არ დავდივარ. კუდის სანსალით ჩაიწრისინა თაგუნამ და ბალახებში შესრიალდა.

— თაგვები საშინელი სულელები არიან, მიაუიყინა ჭიჭ-კინამ, მაგრამ თაგვს არაფერი გაუგონა, რადგან შორი გზა ჰქონდა კიდევ გავლილი.

და-შმამ რამდენიმე კოლო ჩაჭელაპეს და ისევ გზას ვა-უდენ. მეორე დღეს სადამოზე შეჩერდენ დასასვენებ-ლათ, საშინლათა ცხელოდა, ჭაერი შეხეთული იუო, სუნთქ-ვა უმნელდებოდათ, ახლო-მახლო არც ერთი წუმო არ მოჩანდა, რომ ებანათ და გაგრილებულივენ. ბუსხუნა ათვა-ლიერებდა, რომ ეგება გზის მჩვენებელი ვინმე დაენახა.

უცბათ იმათ ახლო მიწა შეინმრა და თხუნელაშ გაშა-კებული ცხვირ-პირი ზემოთ ამოჭეო.

— მოიცა, მოიცა, თხუნელა, აქ სადმე ახლო ხომ არ იცი: დიდი ჭაობი, სქელი ლელით შემქული და მუდამ გამო-ულეველი და გემრიელი კოდოებით სავსე?

— აგრეთვე თბილი ქუჯუნა წვიმა ხშირათ მოდიოდეს და შეაში რბილი გაფურჩქნილი ბალახი იუოს! დაუმატა ჭიჭკინამ.

თხუნელა ჭერ გაჩუმდა, შემდეგ-კი დაღრევით უპასუხა:

— არა, არ ვიცი! ჭაობი ჭირივითა მმაგს. მე მიუ-
 ვარს მიწის თხრა და ჭიისა, მატლისა, ბუზანკალის ჭამა,
 ქვეყანაზე ამათზე გემრიელიც აღარაფერი იქნება. თხუნელაშ
 წინა კლანჭები შეანძრია და ისევ მიწაში ჩამვრა.

— ეს ბრძა თხუნელები სულელები არიან! გაჯავრებით
 წაიუიუინა ბუსუნაშ.

— კარგია თქვენმა მზემ, ჭაობი სმაგს, თითონ-კი ჭი-
 ას, მატლს, ბუზანკალს და სხვა სისამაგლეს სჭამს. დაუმატა
 ჭიჭეინაშ.

მგზავრობა თანდათან უმნელდებოდათ; ბუსუნაც კარგათ
 ჩამოხმა სიცხისა და წეურვილისაგან; ჭიჭეინაც ნამეტნაუათ
 შეილახსა, თითქო ცოტა შეფიქრიანდა. მესამე დღეს დაინა-
 ხეს ლამაზი მერცხალი, რომელიც ჭაერში ბუზებს იქრდა

— მერცხალო, მოიცავდე, ნუ გაფრინდები, ვედრებით
 დაუკითხინა ჭიჭეინაშ.—არ იცი სად არის იმისთანა დიდი
 ჭაობი, მუდამ სუელი, სქელი ლელით შემკული იუოს და
 გემრიელი კოლო გამოულეველი, აგრეთვე ხძირათ ქუშა,
 წვიმა მოდიოდეს და წეალს გემრიელი სავსის სუნი ჰქონ-
 დეს?

მერცხალი ერთ წამს დაფიქრდა და მემდევ ჩაიჭიჭივა!

— არ ვიცი, სწორეთ გითხრათ! მართალია კოლობი
 თითონ მეც მიუვარს, მაკრამ ჭაობებთან-კი თავისდღეში არა
 ვფრინავ. ჩემის აზრით იქ ცუდი ჭაერია. მე მალიან მიუვარს



მზის სხივებში ტრიალი! მერცხალმა გაფრენა დააჩინა, მაგრამ უცბათ რაღაც მოაგონდა.

— იცით რას გირჩევთ! საცოდავო ბაჟაუებო: წადით, მოძებნეთ ფრინველი დალდა და ის ნაძვილათ გასწავლით კარგ ჭაობს. ეგ იმის საქმეა, მუდამ ჭაობებში ცხოვრობს, დაუმატა მერცხალმა, ფრთები გამაღა, თეთრი გული გამოიჩინა და უცებ გაქრა.

— სწორეთ, რომ მერცხალი მალიან ჭიჭიანი უოფილა? ჩუმათ ჩაიუიუინა ჭიჭიანამ.— წავიდეთ და მოვძებნოთ დალდა.

— მართალია! მართალი! დალდა შველაფერს გაბაგებინებს, მწუხარებით წარმოთქვა ბუსხუნამ.

სიცხითა და წუურეილით დაღალულ-დაქანცულები: სტუნგა-სტუნგით გაუდგენ გზას ჩვენი მგზავრები, მაგრამ სულ მისუსტებულიუკენ. ძლივ-ძლიობით მეხუთე დღეს სველ და ხშირ ბალახებში ცხვირ-გრძელა დალდას შეხვდენ.

— ჩემო კარგო დალდა! ალერსით მიმართა ჭიჭიანამ.— მერცხალმა გვითხრა, რომ შენ შეგიძლიან გვასწავლო, მუდამ სველი დიდი ჭაობი, სქელი ლელით შემჭული, და გემრიელი კოლო გამოულეული.

— გარდა ამისა ბაჟაუებს ერთობა და მეგობრობა ჭქონ-დეთ, წვიმის შემდეგ ფერსულსა და სხვა-და-სხვა თამაშობას მართავდენ. დაუმატა ბუსხუნამ.

დალდამ დიდათ უქო ერთი ჭაობი, იმაზე უკეთესი არსად არ მეგულებაო, და გზაც უჩვენა.

და-მშაქ მაღლობა გადაუსადეს და მსიარეული სტუნგით
გხას გაუდგენ.

მიუხსლოვდენ თუ არა ჭაობს, ჭიჭინა სისარულით ჩაჭე-
ტა სავს ძოკიდებულ წეალში. დასუსტებულმა ბუსხუნამაც
იბანა.

— ოხ, რა მშენიერი წეალია! რა გემრიელია, სუნიც
რომ საგანგებო აქვს! კრაულილი უიუნებდა ჭიჭინა.

— რა მშენიერი ფერი აქვს ამ წეალსა, ხავსიც მეტათ
გარება და! აღტაცებით უიუნებდა ბუსხუნა.

იბანეს თუ არა, აქეთ-იქით სტუნვა დაიწევს და უოვე-
ლისფერის სიამოვნებით ათვაჯიერებდენ. ჭიჭინა თავ-მოწო-
ნებით ამბობდა:

— დალღამ მართალი გვითხრა, მეტათ გარები ჭაობია.
თანაც თბილი უუქუნა წვიმას ზურგს უშერდა.

— ამისთანა გემრიელი კოლები თავის დღეში არ მი-
ჭამია, ამბობდა ბუსხუნა და თან რაც შეეძლო კოლებს მუ-
ცელში იტენდა. ბოლოს წამოსკუბდენ კორდზე და თავისე-
ბურათ დაიწევს ბაასი.

— ეს წეალი, თითქო ჩვენი ჭაობის წეალსა ჰეავს, მაგ-
რამ გემო-კი სულ სხვანაირი აქვს. თითქო ლელიც იმნაი-
რათ ხარობს აქა, მაგრამ არა, მაინც ეს სხვა გვარია, ეს
კორდც გარეგნობით მიემსგავსება ჩვენსას, მსოლოთ ჩვენი
ისეთი მაგარი იუო, როგორც ქვა! ეს-კი რბილია. ერთის
სიტუაცით, მშენიერი ჭაობია! უიუნებდა ბუსხუნა.



— ამაზე უკეთესს თავის დღეში კერძად ვიძოვიდით,
დაუმატა ჭიჭინამ.

ამ დროს მოქმედათ მხიარული უიუინი და ხტუნგა ბაჟა-
უებისა. სულ-განაბულნი ისმენდენ ჩვენი მგზავრები და აღ-
ტაცებით ამბობდენ. რა ერთობა და მეგობრობა ჭირნიათ
აქცურ ბაჟაუებსო! მიუახლოვდენ და-მმანი შხიარულ მომდე-
რალ გუნდს. ვნახოთ უცბათ მათ წინ გამოხტა მველი ნაც-
ნობი, მხიარული ბაჟაურ ხტუნია.

— თქვენ აქ საიდან გაჩნდით გაყვირვებული ეუეუინე-
ბოდა ხტუნია — ისევ ჩვენთან მოდით, მობრუნდით?

— როგორა? როგორ? დაიუვირეს ჭიჭინამ და ბუსხუ-
ნამ. — უკაცრავათ ნუ გახლავართ ეს სულ სხვა ჭაობია!

— დამიჯერეთ, ეს ჩვენი წინანდელი კარგი ჭაობია. —
მსოლოთ თქვენ ვერ იცანით, რადცან მეორე გზით მოხვე-
დით. ასლა ხიმ დარწმუნდით, რომ ამაზე კარგი ჭაობი არ-
სად არ არის?..

ორივე და-მმა სირცხვილისაგან თავ-ჩაღუნულები იდ-
გენ: ხმის ამოღებას ვერ ასერხებდენ. ბოლოს-კი დაბალის
ხმით წაიუიუინეს.

— ამაზე უკეთესი ჭაობი არსედ არ არისო.

მას შემდეგ ისინი აღარსად წასულან და ცხოვრობენ
უველა ბაჟაუებთან მეგობრულათ და მხიარულათ.

მარიამ დემურია.

(თარგმანი)

სულეილი ჯეპი.

(ინგლისური ზღაპარი).

Q ყო ერთი ყმაწვილი ჯეპი. ჯეპი დედა ლარიბი ჰყავდა და თავისი შრომით ძლიერ შოულობდა ლოკმა-ზურს. ჯემს-კი საქმის გაცემება ძლიერ ეზარებოდა და არც ეხერხებოდა. ზაფხულში ის დილიდან — სალამომდის მზეზე თბებოდა; ზამთარში-კი ცეცხლს არ შორდებოდა. დედა მთელი დღე ჩასძახდა ჯეპს: „ნუ ზარმაცობ, იმუშავეო“.

ერთხელ დედამ უთხრა ჯეპს, თუ არაფერს გააცემებ სახლიდან გაგაგდებო. ჯეპი წავიდა სამუშავოთ ერთ მემამულესთან. სალამოზე მიიღო სამუშავო ფული და წამოვიდა სახლში. გზაზე პატარა წყალი ნახა. ჯეპიმ იფიქრა, მეორე ნაპირას გაუხატებიო; კიდეც გაუხტა, მაგრამ ფული წყალში ჩაუფარდა. ჯეპი მივიდა სახლში და დედას უამბო ფულის დაკარგვა.

დედამ უთხრა:

„შე სულეილო, ფული ჯიბეში ჩაგედო და აღარ

დაგეპარგებოდათ“.—მეორე დღეს ჯერ წავიდა სა-
 მუშავოთ მწყემსთან. საღამოს მწყემსმა მისცა ერთი
 ქოთანი მაწონი. ჯერიმ ქოთანი ჯიბეში ჩაიდგა და
 შინისკენ გაექანა. გზაზე ქოთანმა ქანაობა დაიწყო და
 მაწონი დაიღვარა. ჯერ მივიდა სახლში, ქოთანი ჯი-
 ბიდან ამოიღო, მაგრამ შიგ აღარაფერი ცულ.

დედამ უთხრა:

„შე სულელო, ქო ანი ხელით უნდა წამთგე-
 ლოო“.—მეორე დღეს კიდევ წავიდა ჯერი და იმუშა-
 ვა ერთ ოჯახში. საღამოს ოჯახის პატრონმა აჩუქა
 ჯერ კურდღელი. ჯერიმ კურდღელი ხელში დაიკავა და
 სახლისკენ წამოვიდა. გზაზე კურდღელი გაექცა და
 შინ ხელ-ცალიერი მივიდა.

დედა გაუჯავრდა და უთხრა:

„სულელო, კურდღლისთვის თოვი მოგება, ისე
 წამოგეუვანა და აღარ გაგექცეოდათ“.—ჯერი ისევ წა-
 ვიდა სამუშაოთ ერთ ყასაბთან. საღამოს ყასაბმა ცხვრის
 ერთი ბარკალი მისცა. ჯერიმ მოაბა თოვი და წაათ-
 რია სახლისკენ. გზაზე ჯერ ძალლები დაეხვიენ და ხორ-
 ცი წაართვეს. ჯერ კიჩვ ხელ-ცალიერი დაბრუნდა
 სახლში.

დედა გაუჯავრდა:

„შე უტეინო, ხორცი მხარზე გადაგედო და წა-
 გვჭარებინა რამეო“.—ჯერი კიდევ წავიდა და დაუდ-

გა ერთ მეჯოგეს, რომელსაც ვირის ჯოგი ჰყავდა. სალამოს მეჯოგემ ჯეკს აჩლექა ერთი ვირი. ჯეკმა გაიძრო ზემო პერანგი, წამოახურა ვირს, გაჭირვებით გაიდა მხარზე და წამოვიდა სახლისკენ.

იმ გზაზე, სადაც ჯეკს უნდა გაევლო, ცხოვრობდა ერთი მდიდარი კაცი, რომელსაც ჰყავდა ერთათ-ერთი, ძლიერ ლამაზი, ქალი. ეს ქალი დაბადებიდან ყრუ და მონჯი იყო, ის არადროს არ გაიცინებდა. ექიმებმა უთხრეს ქალის მამას: „სანამ შენ ქალს ვინმე ძალიან არ გააცინებს, მანამდის არ შორჩებაო“. ქალი ფანჯარასთან იჯდა. და ნახა ჯეკი, რომელსაც ვირი ზურგით მიჰყავდა, სიცილი წასკდა და ენა აეხსნა.

მამას ისე ძლიერ გაეხარდა ქალის მორჩენა, რომ სულელ ჯეკს მიათხავა თაყისი ქალი და ცოლ-ქმარი ბედნიერათ და მდიდრათ ცხოვრებდენ.

გრიგოლ კაჭარავა.





საუბარი ცხოველებზე.



(პოლბერისა)

რა არის საჭირო სიყოფხლისათვის?

ქან ცოტა იმაზედაც ვისაუბროთ, როგორაც
ცოცხლობენ ცხოველები. როგორა გვონიათ,
რა უფროა საჭირო ცხოველისათვის?

— უკელასე საჭიროა საჭმელი: უსმელ-
უჭმელათ ვერ იცოცხლების ვერც ნადირი,
ვერც ფრინველი და ვერც ქაცი.

— ეგ ხომ ეკრეა, მაგრამ არის კიდევ
რაღაცა, რაც უფრო საჭიროა ცხოველისათვის. უსმელ-უჭ-
მელათ ხომ შეიძლება ცხოველმა რამდენსამე დღეს გასძ-
ლოს, მაგრამ განა რამდენ ხანს შეუძლიან ცხოველს უსუნ-
თქმელათ გაძლება?

— მე ერთი წამის მეტი არ შემიძლიან უსუნთქმელათ
გავძლო; ერთ წამს-კი შემიძლიან არ ვისუნთქო.

— გესმით, გიგლას ერთ წამს უსუნთქავათ გამლება მეუძღიან.

ერთიც ვნახოთ გიგლამ სუმრობით თავი მოიმკვდანურა - გაუნმრევლათ დაწვა და სუნთქვაც გაიჩერა. გავიგებთ თუ არა რომ გიგლა ცოცხალია?

— გავიგებთ! უური უნდა დაუგდოთ გული უცემს თუ არა.

— აი სწორეთ ეგ არის უკელაზე უმთავრესი სანაძე ცოცხლები ვართ, გულიც გვიცემს და მისი ცემის გაჩერება ერთი წუთითაც არ შეიძლება, გულის ცემა რომ შესდგება, ჩვენც დავიხოცებით.

სისხლის მიწოდენა. გული მუშტის ოდენაა და ხორცისაა; მაგრამ გული ხორცის უბრალო ნაჭერი-კ, ნუ გეგონებათ. იგი ქისასავით არის გაკეთებული და სისხლით სავსეა. გული მუდამ იყუმშება და იძლება; აი ასასა ჭქიან გულის ცემა. გული რომ შეიკუმშება, გამოდევნის; შიგ რომ სისხლია და ორ სხვილსა და რბილს მიღმი სურეკავს. ამ მიღებს არტერიები ჭქიან, ხალხში-კ მარღვებს ეძახიან. მსხვილი არტერიები წვრილ არტერიებათ ან ე მარღვებათ იუოფებიან, როგორც ხე იუოფა შტორებათ, და ბოლოს მარღვები ბეწვზე კიდევ უფრო წვრილები სდებიან და ქსელავენ მთელ ჩვენს სხეულს. ნევს ვერ ჩაურჩობ ჩვენი სხეულის კურც ერთ ადგილას, რომ ეს ბეწვისტოლა მარღვები არ გახვრიტო და სისხლი არ გამოუშვა. შემდეგ ეს წვნიკი



მარღვები ერთმანეთს უერთდებიან და სსვა უფრო სხვილ მარღვებში ჩადიან — ამ მარღვებს ვენები ჰქვიან; ვენების საშუალებით სხვეულის უკელა ნაწილიდამ იკრიფება და გროვ-დება სისხლი და ისევ გულში ჩადის. ამ დროს გულიც გაიძლება, გაგანიერდება და ისევ სისხლით ივიება.

ამ განუწყვეტელ დენას სისხლისას ჰქვიან სისხლის მიმოდენა ან მიმოსვლა. გულს, არტერიებს, ვენებს და წენიკ მარღვებს სისხლის ჭურჭელს ეძახიან — როგორც ეძა-ხან ხოლმე წელის ჭურჭელი, ღვინის ჭურჭელით ეს იმი ტომ რომ სისხლს ჭურჭლის მაგიერობას უწევენ. იმათში სდგას და მიძინარეობს სისხლი; უმთავრესი ჭურჭელი სი-სხლისა გულია. გული, სისხლი და სისხლის მიმოდენა, როგორც ადამიანის, ისე უკელა ცხოველებსა აქვთ: ძრო-სას, ფრინველს, მწერს და წურბელასაც. სისხლი ჰქვებავს და სწმენდს სხეულის უოველ ნაწილს. უამისოთ მათი სი-ცოცხლე შეუძლებელი იქნებოდა.

სუნთქვა. როგორ ვუძეველოთ სისხლი რომ წახდეს, სიწმინდე რომ დაჭკაროს?

სისხლი მუდამ ხდება, მაგრამ სუნთქვა სწმენდავს. სა-სუნთქმი იარაღი — ფილტვებია. ახლავე გრამბობთ, როგორა აქვთ მოწუობილი ფილტვები ბაჟაუებს. ბაჟაუების ფილტვებ-ზე გელაპარაკებით იმიტომ, რომ მათი ფილტვები მარტი-ვათ არიან მოწუობილნი, ვიდრე ჩემი და თქვენი ფილტვე-ბი. ბაჟაუებს, როგორც ადამიანს, ორი ფილტვი აქვთ — მარჯ-

შენა და მარცხენა. ფილტვები მკერდში არიან ჩაწეობილი. თვითგეული ფილტვი პარკსა ჰყავს და ორივე სასულები გამოდიან. ფილტვებში ჭარია; ფილტვების კედლებში ურიცხვი წვნიკი მიღებია სისხლისა. ბაჟაუც და გაციც მუდამ სუნთქვენ ე. ი. ჩაისუნთქავენ სუფთა ჭარის და წამხდარის, გაფუტებულს უკანვე გამოისუნთქავენ. ჭარი სასულე მიღით ჩადის და გამოდის ფილტვებიდან. ბუზისც აქვს ფილტვები, მაგრამ იმის ფილტვებში პირიდამ და სასულედამ-კი არ ჩადის ჭარი, არამედ წვნიკი ნახვრეტებიდამ. ბუზის მთელი ტანი დაჩვრეტილია. ამ ნახვრეტებში ჩადის ჭარი და გამოდის მუცლის ნახვრეტებიდამ.

სამაგიეროთ ბუზის სისხლის წვნიკი მიღები არა აქვს. იმას მარტო გული და უმთავრესი არტერიები აქვს.

საშრდოობა. კეცბა. წელანვე გითხარით, რომ სისხლი ჰქვებავს, ასაზრდოებს სხეულის უველა ნაწილსა-მეთქი. მაშ საჭმელი ჯერ სისხლში ერევა და მერე სისხლს სხეულის უველა კუთხეში მიაქვს. აი როგორა ხდება ეს:

ცხოველიც და ადამიანიც საჭმელს ჯერ პირში ჩაიდებს დადებულ და მერე გადაჲულააზავს. საჭმელი ჩადის საჭმლის სახარე-მოსანელებელ მიღმი. იქ საჭმელი ერევა საჭმლის-სახარე სხვა-და-სხვა წვენს, თხელდება და რძეს ემგზავსება. ეს რძე გაუკანავს, გავა საჭმლის სახარე მიღის კედლებში და სისხლს შეუერთდება. საჭმლის სახარე მიღი მთელ სხეულში სიგძლივ გადის დაწებული სასიღამ კიდრე უკან კა-



რამდის. ამ უკან კარიღაშ გამოდის გარეთ ეჭელა უფარგი, გამოუსადეგარი ნაწილი საჭმლისა.

ეჭელა ცხოველებს ისე მარტივათ და უბრალოთ არა აქვთ მოწეობილი საჭმლის სახარში მიღი, ოვგორც ახლა ავწერეთ. ცხოველების უმეტეს წილს და იმათში ჩვენც, საჭმლის სახარში მიღი ერთგან გაგანიერებული აქვს. — ეს კუჭია; მიღის ქვეითა ნაწილი მეტი გძელია და მიხვეულ-მოხვეული — ეს წელებია.

ორგანოები. ოვგორც ნათქვამიდანა ჩანს, ეჭელა ცხოველს სამი უმთავრესი მოთხოვნილება აქვს, და ეოველი მოთხოვნილებისთვის საჯუთარი ორგანი აქვთ მოწეობილი.

სისხლის ჭურჭელი — ეს სისხლის ორგანოა; ფილტვები — საუნთქ, ორგანო; საჭმლის სახარში მიღი თრგანოა კვებისა.

გამრავლება. უქცევლია ისიც იცით, რომ დრო გამოშვებით ცხოველები შობენ; აი მაგალითათ მროხა. სხვა ცხოველები, ოვგორც ქათამი, კვერცხსა სდებენ, იქიდან ბარტები, წიწილები ცხიცებიან. აის გამრავლება ჰქვიან. კვერცხები და მყილები ისახებიან ცალკე ორგანოებში, ომელთაც გასამრავლებელი ან მოსამენებელი ორგანოები ჰქვიანთ. იქნება თევზის მუცელში ოდესშე ქურითით საკენ ბუშტები გენასოთ; სწორეთ ეს ბუშტები არიან გასამრავ-ლებელი ორგანოები, ხილო ქვირისი კვერცხებია თევზისა. თევზი ამ კვერცხებს წეალში ჰქვის, და ეოველი კვერცხიდან შატარა თევზი, ჭიჭინა, გამოიჩიცება.



უ რ მ ე ბ ს!

(კულტური პარანა გიგანტის).

რმებო, ჰატარა გერიტებო,
უმანკო ანგელოზებო,
თქვენს თავსაც შემოვლებივარ,
მომავლის დედა-ბოძებო!..

გიყურებთ სულ-განაბული
მთრთოლევარე გულის ძერითა,
თვალს წყალი მაღვას ცის ნამით,
ვერ გამაძლარეარ ცქერითა... .

შორს, შორს მიყყავარ ფიქრებსა,
სათქეენოთ განზრახულებსა;
მაგრამ ვერ გეტყვით გენაცეთ,
ნურც თქვენ დაიწყვეტო გულებსა!..

თქვენს სულს და გულში დღეს მხოლოთ
ანგელოზები დადიან... .

როს მომწიფებით, მიხედებით,
სათქმელათ რაცა მწადიან... .

თქვენ კეთილს ხედავთ ყველაფერს,
აფი რა სანახავია?..
ამას ისედაც ბეერს ნახავთ,
იტყვით: „ეს რა ამბავი?..“

გულს გატკენისო... მაგრამ თქმულია,

ହିମର ପାତାରୁ ମତିର୍ଯ୍ୟଦେବୋ:

”କାହିଁ ତୁ ଏହି ଶ୍ରୀକୃଷ୍ଣ, କ୍ଷେତ୍ରର ଫୁଲ-ଫଳଶି
କୁଟୀ ଗ୍ରେହ ହାତେରେଦେବୋ“.

ତକ୍ଷେଣି କ୍ଷେତ୍ର ଗାଢିମନଙ୍କିଲିଲି କିପାପଥିଲ୍ଲେ,
ଏହି ଶୈଖିତ୍ୱକୁଳେଣି କିମାଲା,
ରାତ୍ରି ମଧ୍ୟ ଫ୍ରେଶିଲି ଫୁଲାଳିନି
କ୍ଷେତ୍ର କ୍ଷେତ୍ରିତ ଗାଢିଗ୍ରେହାଳା!..

ତକ୍ଷେଣି କ୍ଷେତ୍ରଶି ଏହିକିମିଳିଲା
ଫା ଅଶାରେଶିପ୍ରତି ତକ୍ଷେଣିବା,—
ଗୋଟିଏ କିମାରିତଳିକା ଆକ୍ରମିତ,
ତୁମିତ ଗାଢାଲାକ୍ଷେତ୍ର ଗ୍ରେନିବା!..

ହିଂସାଗରେ ତୈବଳି କ୍ଷେତ୍ରିଲା,
କ୍ଷେ ଗାଢାକ୍ଷିମିତ କିନ୍ତୁଲ୍ଲେବାତ,
ମାତ୍ରିନ ତକ୍ଷେଣିପ୍ରତି ଅଲ୍ଲାରୁଧେନ
ଶାକ୍ରେପନ ମନୁଷ୍ୟକୁଳେବାତ!

ମାଗରୁମ ଜ୍ଵର ଶରୀରମା ଘେରିବାତ,
ଚୁମାନ୍ତର ଅନ୍ତର୍ଗତିକ୍ଷେବୋ,
ତା, ମାତ୍ର, କିମାରେତ୍ତିକା, କିମାରେତ୍ତି,
ମନମାରେଲିଲି ଅଧିକା-ଦିନଧେବୋ!..

୯. ତକ୍ଷେଣିଶିରିଦିନ.



პირელი აპოლინ.

კომედია 1 მოქმედებათ

თარგმანი, ს. ციცაშვილის.



მოქმედნი პირნი:

ალექსი
მიხაელი

{

ძმები.

პოტე

სანდრო
ნიკოლ

{

ალექსისა
და მიხაელს ამხანავები.

ზიგა—მებალის შვილი.



მოქმედება სწარმოებს ქადაქში აღეჭისისა და მიხაელს მამის სახე-
ში, სამეცადნო ღოთახში.



გამოსვლა 1

ალექსი და შემდევ მიხაკო.

ალექსი. (ქალენდას შდის) სწორეთ ასეა! დღეს პირეელი აპ-
რილია, მოტყუებისა და ხუმრობის დღე! ძალიან კარგი! ვეცდები
რომ ყველა ცოტ-ცოტათ მაინც მოვატყუო, მე-კი თავის დღეშიაც
ვერავინ მომატყუებს, თავის დღეში!..

მიხაკო. (შემოიჩინს) აი, მეც აქა ვარ!.. რათ მეძახდი,
ალექსი?

ალექსი. (გაოცებით) მე? როდის გიძახდი?! საიდან მოგეჩენა!?

მიხაკო. ვიგამ მოარბინა ჩემთან ქაქანით და მითხრა: ჩქარა
გაიქეცი ალექსისთან, რაღაც ძალიან კარგი ამბავი აქვს სათქმელი
და გრძახისო.

ალექსი. (სიხარულით ხტის და ტაშის უკავს) ყოჩალ, ყოჩალ,
გიგა!.. მოუტყუებიხარ, პირეელი აპრილია, პირეელი აპრილი.. ხა,
ხა, ხა! გაები მახეში, ძმაო, გაები!..

მიხაკო. (გაბრაზებით) როგორ გაედა, იმ უსეინიდისომ, სალა-
ხანამ... დამაცადოს, აგრე ადეილათ არ ჩაიცლის იმისი ხუმრობა...
მე ჩემებურათ ვასწავლი როგორ უნდა მოტყუება.

ალექსი. არა გრცხვენიან მიხაკო, ამისთანა უბრალო რამეზე
როგორ ჯეორობ! გრგა ჩენთან ძმასაებ გაზარდა და ნუთუ ნება არა
აქვს თავისუფლათ გაგვეხუმროს, მეტადრე დღევანდელ დღეს, რო-
დესაც თითქმის ყველა ერთმანეთს ატყუებს!?

მიხაკო. (ცოტათ დაშვიდებული) შენ იმას ლაპარაკობ, რაც

წაგიკითხაში. აბა შენთვის ექნათ ასე, თუ ჩემსაეთ არ მოგიიდოდა გული? გულ-მოსასელელი არ არის, აბა დაფიქრდი..

ალექსი. რა საკვირველია გულ-მოსასელელია, როდესაც ვაგა-
სულელებენ, მოგატყუებენ, მაგრამ შენცა ხარ დაზნაშავე, ადეილათ
არ უნდა მოტყუედე. აბა დღეს მე თუ ვინმე მომატყუებს; აჩავის
არაფერს დაფუჯერებ და გათავდა.

მ ხაპო. ნუ ტრაბახობ, ნუ, ლმერთს შეხედე. ვაჟკაც იპის ტრა-
ბახოვ შემა კატამ გალახაო.

ალექსი. აბა ნახამ..

მიხაპო. დამენაძლევე.

ალექსი. ძალიან კარგი. რაზედაც გინდა. მე დარწმუნებული
ვარ რომ ვერავინ მამატყუებს.

მიხაპო. თუ ეინმე მოგატყუოს, მაშინ შენი ახალი ჯოხი მე
მომეცი

ალექსი. თანახმა ვარ. და თუ საღამომდის ვერავინ მომატყუ-
ოს მაშინ შენ შენი ახალი ბადე მიამეცი.

მიხაპო. მეც თანახმა ვარ. მოიტა ხელი! აბა მარჯვეთ იყავი..
ეს რა ყუთია?.. ამანათი, რომელიც ფოსტიდან გამოუკვაენია! (იღებს
ხელში ყუთს).

ალექს. ეს კარგი ამბავია. ერთი საათია აქა ვდგევართ და ვერ
შეეამჩნიეთ... ნერა თუ რა არის? შეხედე, მიხაე, ამანათი ჩემ სა-
ხელზეა... ა, ა, ა. ახლა-კი მიეხედი, უთუოთ სოფლიდან, დეიდა გა-
მოგზაენიდა, რამდენი ხანია დაპირებულია ყვაეილების თესლებს.

გამოსვლა 2

იგინივე და ვიგა.

გიგა. (შემთვდის) შემცდარი ხართ, ბატონო ალექსი, ეგ ამანათა



შამაჩემმა მოიტანა ფოსტიდან და მითხრა რომ თქვენ გადმოგცეთ.

ალექსი. მაგრამ დაგდე ასე და არ შეგვატყობინე?

გიგა. (ეშმაკურა) მე...

მიხაელ. ჰა, მართლა დამატიწყდა, რომ შენი მოვალე ვარ... (გულმოსული მიიწევს გიგასკენ საცემათ, გიგა საჩქაროთ გაძლიერება გარეთ და კარებიდან ჩემათ უცეკვის თრივე მმებს).

ალექსი. (დაიჭირს მისაკვას, რომელიც გიგას უკან გადაეცნებას აპი-რებს) კარგა, მიხაკო, კარგია თუ ძმა ხარ! დაანებე გიგას თავი და მომეხმარე ამ ყუთის გახსნაში. (სინიან უკთს) დეიდას ისე მაღრათ გაუხეევია თითქო ძეირფასი ნივთები იყოს რამე... უყურე ერთი, როგორ დაუბეჭდია... რამდენ ქალალდებში გაუხეევია... ეს ერთი... ეს ორი... ეს სამი...

მიხაელ. აგრე ნუ ისერი ქალალდებს, ყველა კარგათ გაშინჯე, იქნება შივ იყოს შეხეეული.

ალექსი. ჯერ-კი ყველა ცალიერია და! რაში მოაუიქრდა დეი-დას ამოდენა ქალალდების ჩატენა? ვაიმე დედა! ეს რა ამბაეთა? ყუ-თი დაცალიერდა, შივ აღარაფერდა. (კარებში გიგა ისედებს და იცინის).

მიხაელ. ხა, ხა, ხა! გაები მახეში, ძმაო, გაები! ყოჩალ, გიგა, ყოჩალ! დიდი მადლობელი ვარ, ჩემო გიგა. (გიგა კარებიდან რადასც ანდშებს და იმავლება).

ალექსი. რაო? შენ გგონია გრგა გაბედავდა ამას? თუ მართა-ლია დამაცალოს. აგრე ადვილათ არ ვაპატიებ მე ამას. ამ წამში... (უნდა გაიჭრეს. მისაკვა იჭირს).

მიხაელ. არა გრცხენიან, ალექსა, ამისთანა უბრალო საქმეზე როგორ ჯაერობ. გიგა ჩვენთან ძმასაებ გაიზარდა და სხეა-და-სხეა... ერთის სიტყვით გიმეორებ იმასცე, რაც ორიოდ წამის წინ შენვე ისე-თის ბრძნულის კილოთი მიქადაგე. თავი და თავი ეს არის, რომ შენი ჯობი ახლა მე მეცუთენის, არა?

ალექსი. შენია, შენი, მაგრამ ჯერ იმ ჯოხის ძალა მინდა ვცა-დო გიგას ბეჭებზე-ო. ჰ!.. სიბრაზით არ ვიცი რა ვქნა...



მიხატო. ჩეენ ორივე პატარა ბავშებივით მოგვატუუა და უნდა იმ მოუსევნარს როგორმე გადაეუხადოთ.

ალექსი. წაეიღეთ, წაეიღეთ ერთი რიგიანათ მიებეგვოთ...

მიხატო. (შეჩერებს) არა, მე სულ სხვა რამე მოეიგონე: ჩეენს მაგირ ჩეენი ამხანაგები გაუსწორდებიან, მაგ ცულლურს.

ალექსი. რას აპირებ, მიხაუო?

მიხატო. აი, რას, მაგრამ ჯერ ერთი გაეშინჯო კარსა და ფანჯარას ყურები ხომ არ გამოება? (ძინვავს სომ არავინ გვიგდებს უუსილ).

ალექსი ისე ათვალიერებ კარებს, თოთქო შეთქმულობა გვაქეს.

მიხატო. შეთქმულები-კი არა, მაგრამ სამაგიეროს-კი გადეუხდით მატყუარებს, გამცემლებს და სხვა და-სხვა...

ალექსი. ხა, ხა, ხა! რა ალტაცებით და მედილურათ წარმოს-თქვი, სწორეთ სასაკილოა, მაგრამ დაანებე ხუმრობას თავი და ამიხ-სენი რას აპირებ.

მიხატო. უსრალო რამეა, მაგრამ ნამდეილი ჯაერის ამოყრა-კი იქნება, ყური დამიგდე: დედა და მამა მთელი დღით სხვაგან წაეიდენ და სჩული ნება მოგვცეს მთელ დღეს როკორც გვინდა ისე ვიქეიფოთ.

ალექსი. ძალიან კარგი და ჩეენ ეგ ნება იმაში უნდა გამოვიყენოთ, რომ გიგლა გაელახოთ?

მიხატო. არა-შეთქი. გამიგონე. რა საფიქრებელია, რომ დედ-მამის ნდობით აგრე უსეიროთ ეისარეგებლოთ, მაშინ ხომ თავის-დღეში ალარაფერზე გვენდობიან. შენ ძალიან მოუფიქრებლათ განსაჯდ ჩემი აზრი.

ალექსი. ეგეც მართალია. მაგრამ თუ ძმა ხარ გამაგებინე ეგ შენი აზრი.

მიხატო. აქამდის გაიგებდი, მაგრამ რომ არ მაცდი და სიტყვას მაწყეტინებ.

ალექსი. აჲ, პირზე კლიტეს დაუიდებ. ყურს გიგდებ.

მიხატო. (სიცილით) აბა რამდენ ხანს მოითმენ? აი გაიგონე:

დღეს ხომ კეირაა, გიგა გაეგზავნოთ სკოლაში და საუზმეზე დაეპატიჟოთ სამი ჩეენი ამხანაგი, რომლებიც მუდამ პანსიონში რჩებიან, რადგან აქ ნათესავები არავინა ჰყავთ. ხომ იცი რომ დირექტორს ყოველ კეირას ისინი სასეირნოთ მიჰყავს ხილმე და ამიტომ უნდა დაეწუროთ რომ არ გაგვასწრონ.

ალექსი. მე მაინც არ მესმის რას აპირებ!

მიხაელ. ოხ ღმერთო ჩემო! დღეს შენ რამ გამოგაჩერჩეტა, მართალია დირექტორთან ფაბრიკებსა და ქარხნებში სიარული სჯობს პანსიონში ჯდომას, მაგრამ ამხანავებთან დროს გატარება-კი სულ სხვა; ისინი უეჭველია სიხარულით წამოვლენ ჩეენთან, ჩეენ-კი და-ემალოთ და ბარათი დაეუტოვათ, რომელშია ეწერება: „პირველი აპრილი“. იმ ვაჭბატონების გულ-ფიცხობა ხომ იცი, შეტაღე სანდროსი, ისინი იფიქრებენ გიგამ მოგვატყუაო და ლაშათიანათ მიარტყენ.

ალექსი. საუცხოვოა, მშენიერია!.. წარმოდგენილი მაქეს რა. ნაირათ გაბრაზდებიან და მთელ დღეს პანსიონში გამოემწყედევიან. ხა, ხა, ხა! საკოდავი გიგა, უეჭველია მოხედება.

მიხაელ. ახია იმ ქურდაცაცაზე. რაც შეეხება ჩეენს ამხანავებს, იმათთეისაც არა მშურს კარგი მოტყუება.

ალექსი. მართალია, მართალი! სანდრო მაჩეუბარაა, კორე ბუზ-ლუნაა, ნიკო ხომ მეჭორეა და მაბეზღარი, დირექტორის საყვარელი; სამიერ ჩეენი მტანჯველები არიას და ჩეენც გადაეუხადოთ... მაგრამ შენ ის-კი დაგავიწყდა, რომ ისინი დირექტორთან გვიჩილებენ და დაგვესჯიან.

მიხაელ. რა ჩერჩეტი რამა ხარ, ბიჭი! ბარათით ხომ არა ვპატიჟობთ, გიგოს პირით შეეუთელით; მთელმა ჩეენმა ამხანავებმა იციან გიგას ეშვაკობა და ყველა იმას დააბრალებს, მანამ გიგა პანსიონში მიეა ჩეენ იგანე ბიჭს ეუთხრათ, მამას და დედას ნებართვით ბებიასთან მიედინართ სტუმრათ-თქო და ნამდეილათ-კი აქეე დაეიმალოთ.

ალექსი. მშენიერი მოგონებაა. აბა დაეიწყოთ. ეი, გიგა! (უსტიგნი).

მიხატ ი. ეშმაკის კუდი, იცის როგორი დამნაშავეა და შიშით ეყრ შემოდის. (ჟარს აღებს) ეი, გიგა!.. ჩქარა მოდი, რა კუსაებ მო-ბობლამ!..

გამოსვლა 3

გიგა. (მოფერებით) რა გრძებავთ, ბატონებო?

ალექსი. (წაკლებს გასერში სედს და სცენაზე მოათრებს) მე მნე-ბავს, თავდაპრელათ, შენ კუთხა გასწავლი...

მიხატო. (ესეც მეორე გვერდზე მიათრებს) მე-კი მნებავს, სხვა გაკეთილი მოგეც... ხა, ხა, ხა! ლექსებს დაგასწავლი.

გიგა. (მტორადი სმით) ბატონებია! მაპატიეთ... მე მეგონა რომ ეს უბრალო ჩეცულებაა... რა გასაჯავრებელია... მე... ისე... რომ გამეცინებინეთ... თქვენი გართობა მინდოდა...

ალექსი. ერთი ამ მასხარას უკურეთ! ჩეცნი გასულელებით ჩეცნ-ვი უნდა გვაცინოს.

მიხატო. ხუმრობა კარგია, სასიმოვნოა! ყოჩალ! კარგია, კმარა მაგაზე ლაპარაკი.

ალექსი. (სუმრობით. მედიდურათ) ერთის პირობით გაპატივებთ: ერთგულათ და თავდადებით იყავი ჩეცნი მონა და მორჩილი, რო-გორც შემცერას კარგს მოსამსახურებს.

გიგა. (აღტოცებით) სრულიად გემორჩილებით კეთილშობილ-ნო რაინდნო... ელი თქვენს ბრძანებას... .

მიხატო. (მსრებზე სედს დაჭვრას) ჯერ-ჯერობით შენი მორჩი-ლება ეს იქნება, რომ, რაც შეიძლება საჩქაროთ, გაიქცე პანსიონ-ში და ჩეცნი სამი ამხანაგი დაგვიპატივე ამ დილის საუზმეზე.

გიგა. ეგ ადვილი ასასრულებელია.



ალექსი. შენ საჩქაროთ იარე, ქუჩაში შაქრის პურებს ცქერა
არ დაუწყო და ქუჩა-ქუჩა ნაცნობებთან თამაშს თავი დაანებე...

მიხედვი. პირობა არ დაიციწყო, სილები არ გამოგვტყუო.

გიგა. კარგი... კარგი... (მიღების, უცემ შეჩერდება და გაუბედავათ) ეთქვათ იმ ყმაწეოლებმა არ დამიჯერონ. უმჯობესია ორიოდე სიტყ-
ვა თქვენის ხელით მისწერეთ...

მიხედვი. დრო აღარ არის წერილის დაწერისა, დაგვიანდება, თუ
დაიგვიანე ისინი დირექტორთან ერთათ ქალაქს გარეთ წავლენ სა-
სეირნოთ, გესმის? ჩეენი ამხანავებისათვის ჩეენთან დროს გატარება
უფრო სასიამოვნოა, მანამ ცხვირ-დაშვებულ დირექტორის მოელ
დღეს უკან დევნა.

გიგა. (კასეტის იფარებს და ქუდს სელში ათამაშებს) ეგ მართალია...
მაგრამ... მაინც...

ალექსი. საქმე გაგვიჭირე შენი ლაპარაკით! გასწი, გაფრინდი
ჩემო მერანო. (სელს ჰქონდება).

გიგა. (კარებს ეჭიდება) მაგრამ, ბატონი მე მეშინიან...

მიხედვი. (ახლა ეს ჰქონდება სელს) მიფრთხილდი გული არ მომი.
ვიდეს და ძელი ცოდები არ მოვაგონო! ჩქარა გასწი, გაურინდი!
(გაგა გარდის).

გამოსვლა 4

ალექსი. (ფანჯარასთან მიღების) გესმის, ოხერო, ჩქარა წალი,
არ დაგთელიმოს...

მიხედვი. (იუჟრება ესეც ფანჯარაში) გეიფთხილდი... ყოველთვის
ასე ადვილათ არ გაზაგერჩები!.. ხა, ხა, ხა! საწყალი კისრის ტეხით
მირბის! ახ, რაკარგათ მოვიგონეთ!

ალექსი. ამ ნახევარ საათის მერე აქ იქნებიან და რა გულია-
ნათ დავცინებთ!

მიხატო. მაშ, მაშ! მაგრამ წერილი უნდა ჩქარა დაწეროთ.
(მიზის მაგიდასთან და სწერს).

ალექსი. წარმოდგენილი მაქეს ოოგორ გაბრაზდებიან! ელოდეს
კაცი კარგს მხიარულ საუზმეს ამხანავებთან ერთათ, ამისთვის სა-
სეირნოთ არ წავიდეს და ბოლოს-კი ამაების მაგიერ მშეერი მუც-
ლით მთელ დღეს პანსიონის ოთხ კედელ-შუა დაალამოს... ხა,
ხა, ხა!

მიხატო (წერილ ჭიეცს და ბეჭდას) პანსიონის ყურის-მგდებე-
ლიც თუ იმნაირი კაცია, რომ საღილათ იმდენ საჭმელს ხარშავს,
ჩამდენი ბავშიც დილით დარჩება სასწავლებელში.. ხა, ხა, ხა! ჩემ
ვაჟბატონებს დღეს უსათუოთ მუცელი დამძიმებული არ ექნე-
ბათ...

ალექსი. ეგ სასაჩებლოც არის, მეტადრე სანდროსთვის, რო-
მელიც თავის ლორ-მუცელაობით ყველასავან განირჩევა.

მიხატო. თუმცა ნიკოსაც უყვარს ტკბილეულობა, მაგრამ მა-
ინც მე ნიკო ძალიან მეცოდება მოსატყუებლათ.

ალექსი. რას ამბობ! იმისთანა ძუნწი მთელ პანსიონში არაენ
არის, იმდენს შექრის პურებსა სჭამს ხოლმე დირექტორთან და ერთ-
ხელ არ იფიქრებს, რომ ამხანავებსაც აჭამოს რამე...

მიხატო. მართალია, სამიერ ღირსნი არიან მოტყუებისა! რა
კარგი სანახაები იქნებიან გიგას რომ დაუწყებენ ცემას. ხა, ხა, ხა!

ალექსი. სწორე გითხრა, ახლა გიგას ადგილს ყოფნა არაფერი
სასიამოენოა!.. რა იქნა, აქამდის რატომ არ მოღიან?..

მიხატო. (ისედება ფანჯარაში) აგერ ისიც. რა მარდია სირ-
ბილში...

ალექსი. საცოდავი, რა სწრაფათ მორბის!.. ის-კი არ იცის რა
მოელის!—ჯეირანიერით მორბის.

მიხატო. მარტო გიგა მოდის! ნუ თუ დაიგეიანა,

გამოსვლა 5

გიგა. (ქართველი შემორჩების) იმედია არ დამიკურიანია...

ମନ୍ଦିରାଳୀ. { (ଜେତାଟ ଲୋକଙ୍କାଙ୍କୁବେଳି, ଏଣେ ଏହିପାଇନ କେତମାନ୍ତରି) ଏହା,
ଏହା... ମାଲ୍ଲାରୀନ କୁର୍ରାଗୀ, ମଧ୍ୟରୀର ସାଡ ଅରୀର ହିଁଏଣି ଆଖି.
ଶାନ୍ତିବେଳି? ନୁହିବୁ ହୀଏଇଲ୍ଲିବେ?.. ଏଣ ହୀମନ୍ଦିରାଙ୍କୁବେଳି?.. ଏଣ ହୀମନ୍ଦିରାଙ୍କୁ
ବୁଝିଲୁବୁ ଓ ଏହିଲ୍ଲାଙ୍କ ମିଳେଲୁବେ?

ალექს. ჰო!.. მე მეშვინოდა, ვაითუ სეირნობა იტენიონ-მეთქი.

ՑՈՅՏ. ԵՀԹԻ ՔՄԱՆ ՀՈՅ ԸԱՄԵՐՎԱՆԱ ՎԵԼԱՆ ՑՈՂՄԱՆՔԻՒՅՑԸ: ՑԱ-
ՑԵԱԾԵՑՈՒՅՑԸ ԾՈՅԵ ՍԱՏԵԿԻՆՆՈՒ ՔԱՍԱՏԵԼԵԼԱՌ, ԵՒԼՈՒ ՇԵՑՑՄԱՆ
ՌԸՑԱ.

მისამართი. რანაირათ მოახერხება, მათი დაწოვება?

გიჩა. ჰე... ჩემი კეთილი ბატონების სამსახურისათვეს რას არ
მოვახდებ.

ଅଲ୍ଲାହିକୀ. ୧୦, ଶ୍ରେ ମେଲ୍ଲାହାତ୍!.. ଫାର୍ମଗ୍ନ ଟକ୍କାଙ୍ଗି...

მისაკო. ჩარა თევი, ჩარა,

ბიბა, ახლავე მოგახსენებთ: როგორც-კი უფთხარი, რომ თქვენ
მარტო ხართ სახლში და საუზმეზე ეპატიფებით, რომ საუზმეთ მო-
მზადებული გაქვთ ღორის წეადები, ციყი დედალი, კარაქი, ჭუინტ-
ლი ყველი, ამას გარდა მატრონა გოგო ყავას აკეთებს, რძითა, ნალ-
ბითა და სხვა ამისთანებით-მეთქი, სანდრომ იმ წამსკე ძირს გადის.
როლა ქუდი და წამოიძახა: ეისაც უნდა წაბიანდეს დირექტორთან
ეტლში სათელემათო, მე უარს ვამბობ ამ ბელნიერებაზეო. კატეტ
მაშინევ დაეთანხმა, მხოლოდ ნიკო ცოტათ ყოყმნობდა: ეი, ბიჭე-
ბო! ეუბნებოდა ის ამხანაგებს — ნუ დაიიღწყებთ რომ დღევანდელი
სეირნობა სხვა სეირნობას არ ეგვანება; დირექტორი დღეს ყვავი-
ლების განყოფილებას გვაჩიენებს ბოტანიკურ ბაღში, დაგვირჩდა რა-
ღაც შესანიშნავ მცენარებს გაჩიენებთ. იქიდან შუშის ქარხანაში წა-

გიყვანთო. რას ირეცით ღორის წეადისა და ციფი დედლისათვის... იქ კარგ სადილსა ეჭამთ დირექტორის ნათესასეთან და საღამოს თეატრში წევალთო... სტუურ მიაძხეს, კოტემ და სანდრომ: ისინი ქალალდის თამაშობას დაიწყებენ. და ჩენ პირი დაგვიობდება სიჩუ-მითო. ამხანაგებთან უფრო კარგათ გაფარარებთ დროსაო; მერე ალექ-სი და მიხაკო რა კარგი ბიჭები არიან.

მისამო. ხა, ხა, ხა! აგრე-კი თქვა?

გიგა. თქვენში მზემ, სწორეთ აგრე და ესეც დაუმატა: იმათი მამა ისეთი პურ-ზარილის კაცია, რომ უეჭელია საუზმეც კარგი ექ-ნებათო. და ამ სიტყვების შემდეგ სამიერ დირექტორთან გაიქცენ.

ალექსი. ნიკო?

გიგა. ნიკოს არ უნდოდა წამოსელა, მაგრამ ყურადღი ეუჩურ-ჩულე, მე პიროვნებიც დამაბარეს საყიდლათა-მეთქი.

მისამო. ყოჩალ, ყოჩალ!

გიგა. (ემაურთიდებათ) რას ბძანებთ! თუ შეიძლება ბატონებს რითიმე გაამო...

მისამო. როცა მოტყუებაზე მიერა საქმე?

გიგა. (ეშმაგურის ღიმილათ) დღეს პირეელი აპრილია, ბატო-ნებო?

მისამო. მართალია, მართალი! მაგრამ აქამდის რომ არ მო-დიან?

ალექსი. (გიგას მუქარით) შენ, იქნება... პირეელი აპრი-ლია?

გიგა. (შეშინებით) არა, თქვენმა მზემ! როგორ გაებედავ? თუ გნებაეთ პაპიროსებზე წაგალ.

მისამო. ნუ სწუხდები, საჭირო არ არის, რადგან მე და ჩემი ძმა სხვაგან მიედიგართ სტუმრათ.

გიგა. (სასტათ დაწება) რას ბძანებთ? საუზმე?

ალექსი. პირეელი აპრილია!

გიგა. სტუმრები?

მისამო. (აჭავრებს) პირეელი აპრილია!

გიგა. (შეშინებული) როგორ? ნუთუ? თქვენ მე სიცრუე მა-
თქმეენეთ?

ალექსი. { პირეელი აპრილი! პირეელი აპრილი!

გიგა. (ტირიდათ) შემიბრალეთ, ის ყმაწეილები გულის ჯაერს
ჩემზე ამოიყრიან. არა, არც ანგრე გაესულელდები. მშეიდობით (უნ-
და გაიძეცეს).

ალექსი. { (იჭერენ) შეჩერდი! შეჩერდი!

გიგა. (ცდილობს გაეძრდეს) გამიშვით, გამიშვით!

მისამო. კარგი ნუ სულელობ, გირჩევნია დაგვმორჩილდე, თო-
რემ უწინ ჩენ ამოიყრით ჯაერს და მერე ისინიც შევისრულებ
დანაკლის... ჩენ-კი მაინც წავალთ...

გიგა. (წუწუნით) რა სულელი ვარ, რა ოხერი ვარ. რა საჭი-
რო იყო, რომ ასე ერთგულათ არ შემესრულებანა ამათი ბძანება.

